მიმდინარე სამეცნიერო კვლევითი პროექტები				
N	შემსრულებელი/სახელი გვარი	სამეცნიერო კვლევითი პროექტის დასახელება	პროექტის დასრულების ვადა	სტატუსი
1	პოლოკოვნიკი **გიორგი ლაღიაშვილი,** **ს/პ ანანო გამსახურდია,** გენერალ-ლეიტენანტი **დავით თევზაძე,** გენერალ-მაიორი **თენგიზ შუბლაძე,** ბრიგადის გენერალი **ამირან სალუქვაძე,** ბრიგადის გენერალი **ვლადიმერ იმნაძე,** ვიცე-პოლკოვნიკი **ივანე ოქრომჭედლიშვილი,** ს/პ **ირაკლი ბათიაშვილი,** ს/პ **ნიკოლოზ ესიტაშვილი,** ს/პ **თინათინ კროპაძე,** **ამირან სალუქვაძე,** ბრიგადის გენერალი **ვლადიმერ იმნაძე,** ვიცე-პოლკოვნიკი **ივანე ოქრომჭედლიშვილი,** ს/პ **ირაკლი ბათიაშვილი,** ს/პ **ნიკოლოზ ესიტაშვილი,** ს/პ **თინათინ კროპაძე,** ს/პ **ქეთევან კვესელავა,** ს/პ **ნაზი ჭაბაშვილი,** ს/პ **გიორგი გერგაული,** მაიორი **გიორგი ბოცვაძე.**	**“ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი”**	(2022-2024 წ.წ.)	ETA-01 მიმდინარე

ანოტაცია

ქვეყნის სრულფასოვანი არსებობისა და საერთაშორისო ასპარეზზე თამამი მოქმედებისათვის, სახელმწიფოს წინაშე დგას ტოტალური(ყოვლისმომცველი) ურთიერთობების სტრუქტურის,

როგორიც „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფციის შექმნის საჭიროება. „ტოტალური თავდაცვა“ წინააღმდეგობის გაწევის ისეთი სტრატეგიაა, სადაც სამხედრო დაპირისპირების დროს მოსახლეობის ხვედრითი წილი, ჩართულობის თვალსაზრისით, მკვეთრად არის გაზრდილი. ჩართულობისთვის კი მოსახლეობის გაერთიანება ხდება კრიზისის დაწყებამდე მრავალი წლით ადრე და ბევრ წვრილ-წვრილ, უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს მოიცავს. საქართველოსთვის ტოტალური თავდაცვის საკითხი დღეს-დღეობით საკმაოდ აქტუალურია გლობალური პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროცესების, არსებული გეოპოლოტიკური გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით. რუსეთის სამხედრო აქტივობებმა(საქართველოში, უკრაინაში, სირიაში) და სხვა გამოწვევებმა, ტოტალური თავდაცვის საკითხი კვლავ აქტუალური გახადა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მსგავსად, შეზღუდული რესურსების მქონე სახელმწიფოებში (სინგაპური, სკანდინავიის ქვეყნები, ბალტიისპირეთი) შემუშავებული ტოტალური თავდაცვის კონცეფციების, და საქართველოში ამ მიმართულებით გაწეული კვლევების (ჩვენ მიერ/ანუ პროექტის ავტორების) შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორების მოკვლევის საჭიროება.				
2	**გიორგი დოლიძე**	**,,დაგეგმვა, პროგრამირება, ბიუჯეტირება და აღსრულება''**	36 თვე (2022-2025წ.წ.)	ETA-013 მიმდინარე
ანოტაცია სხვადასხვა ენაზე არსებული აკადემიური წყაროების მიუხედავად, ქართულ ენაზე არ არსებობს ერთიანი სახელმძღვანელო, რომელიც აღწერს თავდაცვის რესურსების დაგეგმვისა და მართვის ერთიან სისტემას, მეთოდოლოგიებს, ძირითად მექანიზმებს, პროცედურებსა და პროცესებს. დოკუმენტი ხელს შეუწყობს თავდაცვის დაგეგმვისა და რესურსების მართვის პროცესში ჩართული პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის და საჭირო უნარების ამაღლებას. კერძოდ, რესურსების დეცენტრალიზებული მართვის განვითარებას თავდაცვის პოლიტიკის, უწყვეტი დაგეგმვის და მოთხოვნებზე დაფუძნებული ბიუჯეტირების პროცესის შესახებ ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლების გზით.				
3	**ნინო ოხანაშვილი**	**„საგარეო პოლიტიკის ანალიზი“**	(2022-2025 წ.წ.)	ETA-015 მიმდინარე
ანოტაცია საგარეო პოლიტიკის ანალიზი ქართულ ენაზე წიგნის სახით არ არის გამოცემული, შესაბამისად, სახელმძღვანელოს შესრულება მნიშვნელოვანი სიახლე იქნება, რომელიც დიდ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ პირებს. რაც შეეხება წიგნის სამეცნიერო				

ღირებულებას, გადაწყვეტილების მიღების მოდელები და თეორიული ჩარჩო, რომელიც წიგნის ფარგლებში იქნება განხილული, მნიშვნელოვან სამეცნიერო ღირებულებას შესძენს მას.				
4	**ქეთევან მესხიძე**	**„რუხი ზონები: გეოპოლიტიკური დომინირების ინსტრუმენტი და პლაცდარმი „დიდ სახელმწიფოთა“ სტრატეგიული კონკურენციისთვის ჰიბრიდული აგრესიის საწარმოებლად“**	36 თვე (2022-2024 წ.წ.)	ETA-016 მიმდინარე

ანოტაცია

თემის აქტუალობას განაპირობებს მისი მჭიდრო კავშირი მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებთან. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები

ცხადყოფს, რომ სამხედრო ძალა ჯერ კიდევ წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განმსაზღვრელ ფაქტორს, ხოლო მსოფლიოში მიმდინარე ლოკალური და რეგიონული სამხედრო კონფლიქტები - განვითარებადი სამყაროს ზოგად დამახასიათებელ ნიშანს.

ბოლო პერიოდის განმავლობაში შეერთებულ შტატებსა და ნატოში ხორციელდება ე. წ. „რუხი ზონის“, როგორც სტრატეგიული გარემოს შესწავლა, რომელშიც ახალი მსოფლიო წესრიგის ფარგლებში საერთაშორისო სისტემის ფორმირება ხორციელდება. „რუხ ზონებში“ ცვლილებას ექვემდებარება ნორმატიულ-სამართლებრივი ვითარება, ინსტიტუტები, ეროვნული ინტერესები და სახელმწიფოს პრიორიტეტები. მოქმედებები კი განასახიერებს ჰიბრიდული ომის თანამედროვე ტექნოლოგიებზე აგებული სტრატეგიის ერთერთ ვერსიას საბრძოლო მოქმედებათა თეატრში. ასეთი ოპერაციების ჩატარება საშუალებას იძლევა კონკურენცია გაუწიოს სახელმწიფოებს, რომლებიც ჩვეულებრივი ომისა და იმ ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან, რამაც შესაძლოა საერთაშორისო რეაქცია გამოიწვიოს. აქედან მომდინარეობს ტერმინი „რუხი ზონა“, როგორც შუალედური რგოლი ომსა და მშვიდობას შორის.

იგი მიეკუთვნება ე. წ. „სტრატეგიული გაურკვევლობის“ სფეროს, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ სახელმწიფოში, რეგიონში ან მსოფლიო არენაზე სამხედრო და პოლიტიკურ სფეროში ისეთი პირობების შექმნას, სადაც ძნელია ვითარების სწორად შეფასება, შეიარაღებული ძალების ეფექტურად გამოყენება და ადეკვატური, თანაბარზომიერი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა.

„რუხი ზონა“ ქმნის ფართო სივრცეს სხვადასხვა პრობლემის კონცენტრაციისთვის. იგი ძალიან ჰგავს ომს, მაგრამ, ეს არ არის ომი, რამდენადაც „რუხი ზონაში“ გამოყენებული მეთოდები წარმოადგენს დაშინების, იძულებისა და აგრესიის უნიკალურ კომბინაციას, რომელიც ეტაპობრივად გამოიყენება

წინააღმდეგობების ჩასახშობად, ადგილობრივი ან რეგიონალური უპირატესობის მოსაპოვებლად და რისკების მანიპულირებისთვის თავის სასარგებლოდ. ამგვარი აღწერილობის თანახმად, „რუხი ზონა“ წარმოადგენს ახალ სივრცეს ომისა და მშვიდობის ტრადიციულ კონცეფციებს შორის (Votel, Cleveland, Connett, Irwin 2016, 31). „რუხი ზონა“ მოიცავს აგრესიულ სახელმწიფო სტრატეგიებს მაღალი ფსონებით, რომელშიც თითოეული მონაწილე ღია ან ფარული საშუალებებისა და მეთოდების, პროვოკაციებისა და კონფლიქტების საშუალებით იყენებს ზემოქმედებისა და დაშინების სხვადასხვა ინსტრუმენტს „ომის საბოლოო მიზნების“ მისაღწევად. საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მიმართულებით საქართველოში სამხედრო და სამეცნიერო სფეროში კომპლექსური კვლევა არ განხორციელებულა, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა პრაქტიკულად არ არსებობს და მხოლოდ ოფიციალური პოლიტიკური დოკუმენტების, ჩატარებული კვლევების, სტატიების, მოხსენებებისა და ელექტრონული რესურსების სახითაა ხელმისაწვდომი. საკითხი მით უფრო **აქტუალურია საქართველოს, როგორც ჰიბრიდული ომის მსხვერპლი სახელმწიფოსთვის, რომელიც თვითონ წარმოადგენს ე.წ. „რუხ ზონას“**, რომელთან დაკავშირებითაც მთელი რიგი სახელმწიფოების ინტერესები იკვეთება და საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნები ამოძრავებთ. აქედან გამომდინარე, ეს იქნება პირველი ნაშრომი, რომელიც სიღრმისეულად განიხილავს პრობლემას აღნიშნული მიმართულებით.				
5	**შადიმან ბიწაძე** **ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე** **დაჩი მამულაშვილი**	**„შავი ზღვის გეოპოლიტიკა“**	(2021-2024 წ.წ.)	ETA – 017 მიმდინარე

ანოტაცია

2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის ფარგლებში მიღებული იქნა „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი“, რომლის მთავარი დანიშნულებაცაა ნატოსთან თავსებადობის გაუმჯობესება და ალიანსში გაწევრიანების მზადების პროცესის ხელშეწყობა, რაც ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას უწყობს ხელს.

„ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის“ ერთ-ერთ პრიორიტეტად მიჩნეულია საქართველოს მიერ საზღვაო სეგმენტის გაძლიერება.

შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე დინამიური ტრანსფორმაცია აიძულებს საქართველოს იფიქროს უფრო აქტიურ საზღვაო თანამშრომლობაზე, რომლის გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს მზადყოფნა ნატოს ქვეყნებისათვის საკუთარი საზღვაო ინფრასტრუქტურის შეთავაზება საზღვაო სწავლებების დროს რუსეთის სამხედრო-საზღვაო პოტენციალის გაძლიერების ფონზე შავ ზღვაზე. რეგიონში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით მონოგრაფიის „შავი ზღვის გეოპოლიტიკის“ შექმნა და გამოცემა აქტუალურია.

6	**თადარიგის პოლკოვნიკი გიორგი კბილცეცხლაშვილი ანანო გამსახურდია**	**„სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება"**	(2022-2024 წ.წ.)	ETA – 018 მიმდინარე

ანოტაცია

სახელმწიფო მოწყობისა და ეროვნული უსაფრთხოების შესახებ სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არ არის გამოცემული, შესაბამისად, მისი შესრულება მნიშვნელოვანი სიახლე იქნება. სახელმძღვანელო დიდ თეორიულ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო მოწყობისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

რაც შეეხება წიგნის სამეცნიერო ღირებულებას, საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ექნება თეორიული და ფაქტობრივი მასალა აღნიშნული საკითხების შესახებ.

7	**თორნიკე ქიმერიძე**	**,,თანამედროვე ნახევარგამტარული მასალების რადიაციული დეფექტების კვლევა ოპტიკური სპექტროსკოპიის მეთოდით"**	(2023 – 2024 წ.წ)	ETA – 019 მიმდინარე

ანოტაცია

თანამედროვე ნახევარგამტარული ტექნოლოგიების საბაზა SiGe შენადნობების მოცულობითი მონოკრისტალების რეალურ სტრუქტურაში არსებული და გარეშე ფაქტორებით (რადიაცია, იმპულსური თერმული დატვირთვა, დეფორმაცია) ფორმირებული დეფექტების ენერგეტიკული და კრისტალოგრაფიული მახასიატებლების შესწავა და ფუნდამენტურველექტროფიზიკურ, ოპტიკურ და მექანიკურ თვისებებზე მათი გავლენის მექანიზმების დადგენა იძლევა შესაძლებლობებს შეიქმნას SiGe-ს საფუძველზე მაღალეფექტური 3-განზომილებიანი და 2-განზომილებიანი ახალი ნახევარგამტარული მასალები. ამჟამად სილიციუმ-გერმანიუმის კომპონენტები ფართოდ გამოიყენება მიკროელექტრონიკაში ანალოგიურ-ციფრული გარდამქმნელებისა და პროცესორების დასამზადებლად. მათი საიმედოობა ენერგომოხმარება და ინტეგრაციის ხარისხი მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული SiGe მასალების სტრუქტურის სრულქმნილობაზე. აღსანიშნავია, რომ SiGe მიკროსქემები მუშაობის პროცესში გამოჰყოფს ნაკლებ სითბოს ვიდრე მისი კონკურენტები InP და GaAs, რაც აჩვენებს მათ უკეთერსს თერმულ მდგრადობას.

SiGe-ს საფუძველზე BiCMOS (დიდი ინტეგრალური სქემები მეტალო-ოქსიდ-ნახევარგამტარ SiGe-ზე) საშუალებას იძლევა რეალიზებული იქნას მრავალი ოპერაციული-გამოთვლითი ფუნქცია ერთ ჩიპზე რთულფუნქციონალური მოწყობილობებისათვის. SiGe ტექნოლოგიებს გააჩნიათ რეალური პერსპექტივები ზემაღალი სიხშირეების გამზომ სისტემებში				
8	**გიორგი კბილცეცხლაშვილი ზურაბ გარაყანიძე**	**რფ-უკრაინის ომის გავლენა ენერგო-უსაფრთხოებაზე (Post Russia-Ukraine War Energy Security Opportunities)**	9 თვე (2024 წ.)	ETA-021 მიმდინარე
ანოტაცია მსოფლიოში გაზის წარმოება 2021 წელს გაიზარდა თითქმის 5 პროცენტით და მიაღწია რეკორდულ 4,04 ტრილიონ კუბ.მეტრს. ამჟამად მსოფლიოში რუსეთი მეორე უმსხვილესი ბუნებრივი აირის მწარმოებელია და წამყვანი ექსპორტიორია. 2021 წელს რუსეთის აირის ექსპორტი იყო 202 მლრდ კუბ. მეტრი მილსადენის გაზი და 39,6 მლრდ კუბ. მეტრი თხევადი ბუნებრივი გაზი - LNG. [წყარო: რუსეთი ცდილობს აინაზღაუროს ევროპის უფსკრული ბუნებრივი გაზის ექსპორტში. https://www.aa.com.tr/en/europe/russia-struggles-to-make-up-for-europes-gap-in-natural-gas-exports/2717651].				
9	**ზურაბ მჭედლიშვილი**	**„სამხედრო ხელოვნების ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო იუნკერებისათვის. ნაწილი პირველი (სუნ ძის „ომის ხელოვნება," ანტიკური ეპოქის სამხედრო ხელოვნება-ძველი საბერძნეთი და რომი)**	6 თვე (2024 წ.)	ETA-022 მიმდინარე
ანოტაცია სამხედრო ხელოვნების ისტორია საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, მაგრამ მას სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი დანიშნულებაც გააჩნია. კერძოდ, გვინდა ეს თუ არა, ომი				

<table>
<tr><td colspan="5">კაცობრიობის განვითარების თანმდევი პროცესია. ამასთან, ომი არის გამოცდა როგორც დიდი, ასევე პატარა ერებისთვის. ვინც ამ გამოცდას ვერ უძლებს - ქრება ისტორიული არენიდან. მხოლოდ ის ერი განაგრძობს არსებობას და განვითარებას, რომელსაც შესწევს შინაგანი ძალა გაუძლოს ომის ზეწოლას და მას თავისი სულიერი და ფიზიკური სიცოცხლისუნარიანობა დაუპირისპიროს. ამავე დროს, ომი წარმოშობს ლიდერებს - სტრატეგებს, მხედართმთავრებს, გენერლებს(მნიშვნელობა არ აქვს მათ

სოციალურ კუთვნილებას), რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთში წარმოჩინდებიან და ბრძოლაში სასწაულებს ახდენენ. მათი სახელები სამუდამოდ დამკვიდრდა მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე, ხოლო მათი გამორჩეული პიროვნული თვისებები: სულიერი სიმტკიცე, სამშობლოს სიყვარული, ნებისყოფა, მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება დღესაც მისაბაძი უნდა იყოს ახალგაზრდა თაობებისთვის.</td></tr>
<tr><td>10</td><td>ნიკოლოზ ესიტაშვილი</td><td>,,თურქეთის მზარდი გეოპოლიტიკური როლი და გავლენა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაზე”</td><td>6 თვე (2024წ.)</td><td>ETA-023
მიმდინარე</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია
ეს კვლევა აჩვენებს, რომ RSCT არის შესანიშნავი ინსტრუმენტი რეგიონული უსაფრთხოების შესასწავლად. RSCT-ის მიხედვით, რეგიონული დონე არის ყველაზე მნიშვნელოვანი ან თუნდაც ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც გლობალური ან შიდა დონეები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს არის ერთადერთი დონე, ან ერთადერთი მნიშვნელოვანი დონე საერთაშორისო უსაფრთხოების შესასწავლად. RSCT განასხვავებს გლობალურ და რეგიონულ დონეებს და დინამიკას და იძლევა უსაფრთხოების განვითარებული მოვლენების უფრო ნიუანსირებული ახსნის საშუალებას. RSCT უკეთ ხსნის, თუ როგორ ურთიერთქმედებენ გლობალური და ადგილობრივი დინამიკები საბოლოო შედეგზე - ქვეყნების უსაფრთხოებაზე. მოცემული კვლევისთვის RSCT გამოიყენება თურქეთის, რუსეთის, ევროკავშირისა და აშშ-ის როლის შესასწავლად სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევაში აქცენტი კეთდება თურქეთზე, კვლევა აჩვენებს, რომ RSCT არის ინტერაქტიულად დინამიური და ეს კვლევა თეორიულად და ემპირიულად აღწერს ევროკავშირის, აშშ-ს, რუსეთისა და თურქეთის წვლილს სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაში ცივი ომის შემდეგ.</td></tr>
<tr><td>11</td><td>არჩილ ჩაჩხიანი</td><td>,,ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორია. ნაწილი პირველი” (პუატიედან კონიგრაცამდე)</td><td>24 თვე (2024-2026 წწ.)</td><td>ETA-024
მიმდინარე</td></tr>
</table>

ანოტაცია

განსახილველად წარმოდგენილი პროექტის ,,ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორია. ნაწილი პირველი“ სახელმძღვანელოს აქტუალობასთან დაკავშირებული საკითხი მეტად ტრივიალური და ნათელია. თუ უფრო დავაზუსტებთ, აღნიშნული საკითხის დასმა არა თუ ნათელი, არამედ აუცილებელია. უფრო მეტიც. წარმოდგენილი სახელმძღვანელოს შექმნა მეტად გადაუდებელ ამოცანად გვესახება, იმდენად, რამდენადაც, 2024-2025 სასწავლო წლის პირველივე სემესტრში უკვე გადაწყვეტილია ეროვნული თავდაცვის აკადემიაში თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის სასწავლო კურსიდან სრულად გამოყოფა და დასახელებული სავალდებულო საგნის მაგისტრატურის მსმენელთთვის სწავლება. შესაბამისად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეიქმნას აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების შესაბამისი და რელევანტური სახელმძღვანელო.

12	**ზურაბ სამხარაძე**	**,,საფორტიფიკაციო ხელოვნების ფორმირება და განვითრება ძველ აღმოსავლეთის ქვეყნებში”**	9 თვე (2024 წ.)	ETA-025 მიმდინარე

ანოტაცია

კვლევა ეძღვნება აღმოსავლეთის რიგი სახელმწიფოების საფორტიფიკაციო ხელოვნების ძეგლების შედარებით ანალიზს - ძველი ეგვიპტიდან შუა საუკუნეების ჩინეთამდე. მცდელობა გაკეთდა თავდაცვითი ნაგებობების განვითარების ძირითადი ეტაპების 9 თვე (2024 წ.)იდენტიფიცირება - თავისუფალი ციხესიმაგრიდან (ციტადელი, ციხე) ურბანული და სასაზღვრო თავდაცვითი სიმაგრეების ყველაზე რთულ სისტემებამდე, მათ შორის ციხის თხრილები, კედლები და კარიბჭეები დასაბრძოლო კოშკები. ნაჩვენებია, რომ ამ არქიტექტურული ნაგებობების ბუნება დიდწილად განპირობებული იყო ქალაქის ან დასახლების სტატუსით, მისი ბუნებრივი ლანდშაფტის მახასიათებლებით, გამოყენებული სამშენებლო მასალების სპეციფიკით, კონსტრუქციების და მასალები, სამხედრო და საინჟინრო ხელოვნების განვითარების დონით. წარმოდგენილია მასალები პოლიორცეტიკის სფეროდან (ქალაქების ალყშიმოქცევა. ბერძნული ხელოვნება), ნაჩვენებია ალყის ძრავების ძირითადი ტიპები და მექანიზმები. ასევე აღინიშნება სასაზღვრო გალავნისა და „გრძელი კედლების“ (რომაული ცაცხვის) დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყველაზე ნათელი მაგალითია ასურეთის, ახალი ბაბილონის, იუდეისა და ძველი ჩინეთის თავდაცვითი სისტემები.

13	ზურაბ აგლაძე	„პოსტკონფლიქტური საზოგადოების მშენებლობა: (აფხაზეთი/სამაჩაბლო)”	36 თვე	ETA-026 მიმდინარე

ანოტაცია

პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნება სახელმძღვანელო პოსტკონფლიქტური საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ, რომლითაც უპირველეს ყოვლისა ისარგებლებენ აკადემიის იუნკრები/მსმენელები და პროფესურა; ასევე, აკადემიის მიღმა კონფლიქტებით დაინტერესებული პროფესიული თემი და ფართო საზოგადეობა.

პირველადი გეგმის მიხედვით პროექტის შესრულების ვადად განსაზღვრულია 36 თვე, მაგრამ კონფლიქტის მოგვარების კონტურების გამოკვეთამდე საჭიროა საზოგადოებამ გაიაზროს როგორი უნდა იყოს კონფლიქტის მოგვარების შემდგომი საზოგადოება. შესაბამისად, პროექტის მენეჯმენტმა პროექტის მართვის, მოქნილი (agile) მიდგომა შეარჩია, რაც გულისხმობს, პროექტის ადაპტაციას არსებული რეალობის კვალდაკვალ, მისი მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების ცვლილების გარეშე.

14	ლევან ნიკოლეიშვილი	„ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების როლი თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში”	2 თვე (2024 წლის მაისი)	ETA-027 მიმდინარე

ანოტაცია

სამხედრო სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება, ყოველთვის მომხიბვლელი იყო მათთვის ვინც ახალი ტექნოლოგიების გამოგონებითა და განვითარფებით არის დაინტერესებული. ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა თავდაცვის სფეროში ერთგვარად ნიშნავს მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებას, უფრო ეფექტურ ქმედებებსა და შესაძლებლობების გაძლიერებას. ამ შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები გამონაკლისი არ არის, მითუმეტეს, რომ იგი ერგება ფუნქციურად ყველა მიმართულებას, ეს იქნება კიბერუსაფრთხოება, ავტონომიური იარაღი, ლოჯისტიკა თუ სხვა.

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები ასევე ქმნის მნიშვნელოვან იურიდიულ, სტრატეგიულ და ეთიკური გამოყენების რისკებს და საფრთხეებს. ამ მიმართულებით ჩრდილოატლანტიკური ანლიანსი, ევროკავშირი და საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაია, მათ შორის ტექნოლოგიურად

<table>
<tr><td colspan="5">მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა, აქტიურად მუშაობენ, მათ სტრატეგიებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენება უნდა მოხდეს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მიერ პასუხისმგებლობით და ანგარიშვალდებულებით, აუცილებლად უნდა იქნეს დაცული ადამიანის უფლებები და ღირსება.</td></tr>
<tr><td>15</td><td>ზურაბ მჭედლიშვილი</td><td>,,სამხედრო ხელოვნების ისტორიასამხედრო ხელოვნების ისტორია'' დამხმარე სახელმძღვანელო იუნკერებისათვის. ნაწილი მეორე (ვახტანგ გორგასალი, ადრეფეოდალური ეპოქის ევროპული სამხედრო ხელოვნება, დავითისა და თამარის ეპოქების სამხედრო ხელოვნება)</td><td>6 თვე
(2024 წელი)</td><td>ETA-028
მიმდინარე</td></tr>
<tr><td colspan="5">

ანოტაცია

დამხმარე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ცალკეულ პერიოდებს ადრეფეოდალური ეპოქიდან ვიდრე შუა საუკუნეების მიწურულამდე (ასწლიანი ომის დამთავრება ევროპაში). წარმოდგენილი საკითხავი მასალა მეტად საინტერესოა აღნიშნული პერიოდის ევროპისა და საქართველოს სამხედრო ხელოვნების განვითარების კუთხით. სახელმძღვანელო შედგება ოთხი თავისაგან; I თავი-ვახტანგ გორგასლის სამხედრო ხელოვნება, უჯარმის ბრძოლა; II თავი-დასავლეთ ევროპის სამხედრო ხელოვნება, ჯვაროსნული ომები, ასწლიანი ომი-კრესისა და აზენკურის ბრძოლები; III თავი-დავით აღმაშენებლის სამხედრო ხელოვნება, დიდგორის ბრძოლა და IV თავი-თამარის ეპოქის სამხედრო ხელოვნება, შამქორისა და ბასიანის ბრძოლები. ბოლოში ერთვის საკითხავი ლიტერატურის სია. სახელმძღვანელო უხვად არის ილუსტრირებული. სახელმძღვანელოში შეკრებილია ამ დარგის ქართველი და ამერიკელი მკვლევარების ნაშრომები აღნიშნული პერიოდის სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და სამხედრო ლიდერების შესახებ. წარმოჩენილია ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული როლი(პიროვნული თვისებები, აზროვნებისა და მართვის უნარები) ბრძოლებსა და სამხედრო კამპანიებში გამარჯვების ან დამარცხების საქმეში.</td></tr>
</table>